21/10/2024

MES 3 24 0001358050

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი, 4/10/23024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:30
სხდომის თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე
სხდომის მდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 04 ოქტომბერს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **სერგო ჭელიძე** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ პროფესორი, სხდომის თავმჯდომარე.
2. **დავით ლეშკაშელი -** სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
3. **მამუკა ხუსკივაძე** -სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
4. **მიხეილ გურგენიძე** - შპს „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში” ასისტენტ-პროფესორი;
5. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი;
6. **ქრისტინა რზგოევა** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
7. **გაიანე სიმონია** - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
8. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

10. **ნათია ზედგინიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
11. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **ემილ ავდალიანი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის" პროფესორი.
13. **თამარ იოსელიანი** - შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

- *უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, თამთა მოხევიშვილი;*
- *უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.*

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია:

1. ყარამან ქუთათელაძე, რექტორი;
2. ლალი თარიმანაშვილი, კანცლერი;
3. ნინო ღაღანიძე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. მიხეილ ხუნდაძე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
5. დავით ათაბეგაშვილი, საფინანსო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. დავით ქვრივიშვილი, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. მაია ყიფიანი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი;
8. თამარ შავგულიძე, სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევების განვითარების სამსახურის უფროსი;
9. მეგი წითლიძე, სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;
10. ნანა იაშვილი, მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანი;
11. გია იაშვილი, დიზაინის ფაკულტეტის დეკანი.

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი:

1. ეკატერინე ბაკარაძე, პროფესორი, ხარისხის კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელი;
2. ვახტანგ ზაალიშვილი - პროფესორი, იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპე რტები):

Iსაკითხი:

1. **სარა მონიკა ბენეტი** (Sarah Monica Bennet)
2. *შოთა ფოთოლაშვილი*
3. *გაგა გვენეტაძე*
4. *თამარ ჩხეიძე*
5. *ანა ჯაფარიძე*
6. *გიორგი გაბუნია*

7. *ია ბუცხრიკიძე*

IIსაკითხი:

1. *ქეთევან კანკავა*
2. *ზაზა ცოტნიაშვილი*
3. *ინგა ბოჭოიძე*
4. *გიორგი გვენეტაძე*

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომარ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განს ახილველ საკითხთან მიმართებით.
საერთაშორისო ექსპერტი, სარა მონიკა ბენეტი, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას ხელმძღვანელობს და მართავს ენთუზიაზმითა და ერთგულებით აღსავსე ლიდერთა ჯგუფი, რომელსაც აქვს ძლიერი ხედვა აკადემიის განვითარებისთვის. ასევე მათ გვერდით დგას მაღალი მოტივაციის მქონე პერსონალი, რომლებიც ხელს უწყობენ საგანმანათლებლო პროცესის განვითარებას. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ ყველა მათგანი არის რევიზიისა და გაუმჯობესების გზაზე, რაც დასაფასებელია და კარგია ქართული მემკვიდრეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამისად, გაცემული რეკომენდაციები და რჩევები დაწესებულებას დაეხმარება ამ უკანასკნელის განვითარებაში და ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ აკადემიას შეუძლია ამ რეკომედაციების შესრულება და ამასთანავე, დაწესებულების მიერ ამ რეკომენდაციებიდან ბევრი უკვე გათვალისწინა. მან აღნიშნა, რომ სტრატეგიულ გეგმაში შესრულების ძირითადი მაჩვენებლების (KPI) განვითარება ისეთივე მარტივად შესასრულებელი რეკომენდაციაა, როგორც შეფასების კრიტერიუმებისა და აპელაციის სისტემის მიმართ გაცემული რეკომენდაციები. ინტერნაციონალიზაციისა და კვლევების პროცესის გაუმჯობესებას სჭირდება შედარებით დიდი დრო, თუმცა ეს არ წარმოადგენს დაწესებულებისათვის დამაბრკოლებელ გარემოებას იმიტომ, რომ მას აქვს საკმარისი რესურსი და მონდომება მათ შესასრულებლად. აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის განვითარებისთვის ბევრი გაკეთდა, თუმცა შესაძლებელია დამატებითი ნაბიჯების გადადგმაც სტუდენტების უკუკავშირის მიღებისა და შესაბამისი მეთოდების გამრავალფეროვნების მიზნით. მისი თქმით, დასკვნაში არის აღნიშნული ინფრასტრუქტურის ხარვეზების და განვითარების საჭიროებების შესახებ, თუმცა მომავალი კაპიტალური ინვესტიცია, რომელიც იგეგმება დაწესებულების განვითარებისთვის, უზრუნველყოფს შენობებში რესურსების უსაფრთხოებასა და ხელმისაწვდომობას. ასევე შემოქმედებითი და ინტელექტუალური მიღწევების გაგრძელებას სტუდიებსა და სახელოსნოებში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უკეთესი განათლების მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ნინო ღაღანიძე, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკულად არ არსებობდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ისეთი რეკომენდაცია, რომელიც მიუღებელი იქნებოდა დაწესებულებისთვის. ის მხოლოდ რამდენიმე რეკომენდაციას შეეხო, მათ შორის მატერიალურ რესურსსა და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას ახალი დაწყებული იყო უნივერსიტეტის ერთ-ერთი სასწავლო კორპუსის რეაბილიტაცია (ყოფილის ნიკოლაძის შენობა), რომელიც ორ კვირაში დამთავრდებოდა. ასევე, აღნიშნა რომ დაგეგმილია ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე, ძირითადი სასწავლო კორპუსის რეაბილიტაცია. ტენდერი უკვე გამოცხადებული იყო, რომელიც 26 სექტემბერს დასრულდა. შესაბამისად, აკადემიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის ცნობილია თუ ზუსტად როდის დაიწყება და დამთავრდება სარემონტო სამუშაოები და ამის შესახებ ექსპერტებსაც მიაწოდეს ინფორმაცია. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ხარისხის სამსახურის გაძლიერებასა და ფაკულტეტებზე ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმებში, მაგალითად გამოკითხვების შედეგების ანალიზის დროს, პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობას. ზოგიერთ და განსაკუთრებით სახელოვნებო ფაკულტეტებზე, გაერთიანებულია ხუთი, ექვსი და შვიდი სპეციალობა. თითოეულ სპეციალობაში ერთი ან ორი აკადემიური შტატია შექმნილი. შესაბამისად, თითოეულ პროგრამას ხელმძღვანელობს ერთი ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი. სამწუხაროდ, დაწესებულებას ჯერ-ჯერობით არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ საგრძნობლად გააფართოოს ფაკულტეტებზე ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმში პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი მომავალში უყურადღებოდ დატოვებს ამ საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ, სერგო ჭელიძემ, ექსპერტებს მიმართა, რომ მეორე და მესამე რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის, ციტირების სათანადო მეთოდებსა და აკადემიური რეფერირების სტანდარტებში მათი ცოდნის ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტის მხრიდან სემინარისა და ტრენინგების ჩატარებას. მან სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, რომ უფრო მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ ავტორიზაციის საბჭოსთვის.

ექსპერტმა გაგა გვენეტაძემ განაცხადა, რომ არ დაემთხვა ინტერვიურების დროს, აკადემიური პერსონალის და არც ერთი სტუდენტების გასაუბრების შედეგად მიღბული ინფორმაციები არ დაემთხვა ერთმანეთს. მაგალითად, აკადემიური პერსონალი საუბრობდა ისეთ სხვადასხვა ციტირების ინდექსებზე, რომლის შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს არ ჰქონდათ. უნივერსიტეტმა, როგორც პერსონალისა და სტუდენტებისთვის ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლება უნდა უზრუნველყოს. მოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისაგან მიიღო უკუკავშირი, რომელიც სრულად მისაღები და ადეკვატური იყო.

საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. მას აინტერესებდა თუ როგორი ხედვა ჰქონდა მათ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ღაღანიძემ განაცხადა, რომ ჯერ-ჯერობით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გუნდი მცირერიცხოვანია. აკადემიას დაგეგმილი აქვს მისი განვითარება და ზუსტად იცის თუ სად უნდა დაამატოს ახალი თანამშრომლები. შესაბამისად, ამის შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უკვე ჩამოპყალიბებულია. მისი თქმით, დაწესებულებისთვის წლების განმავლობაში ძალიან რთული იყო სტუდენტების დაინტერესება ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობით, თუმცა

დღეს ეს პრობლემა მოგვარებულია. როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი ფლობს არა მარტო ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, არამედ ჩართულიც კი არიან ამ პროცესში. იმედი აქვთ, რომ მომავალი წლიდან, თანამშრომლების მოზიდვით, მეტად გაძლიერდება ცენტრალური ხარისხის სამსახური, ხოლო ფაკულტეტები შესაბამისი კომპეტენტური პერსონალით.
სამეცნიერო შემოქმედებითი კვლევების განვითარების სამსახურის უფროსმა, თამარ შავგულიძემ, სერგო ჭელიძის მიერ დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ექსპერტების შენიშვნები გაითვალისწინა. უახლოეს მომავალში დაგეგმილია რამდენიმე ტრენინგი როგორც ციტირების სტილთან, ისე პლაგიატთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სამეცნიერო ინსტრუმენტალიზაციის კულტურა ეტაპობრივად ინერგებოდა აკადემიაში. ორი წლის წინ დაწესებულება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ მიმართულებით, სპორადული და პერიოდული ტრენინგები არ იყო საკმარისი. შესაბამისად, აკადემია ამ მიმართულების გაძლიერების მიზნით ჩაერთო დიდ კონსორციუმში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, რომელიც დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ. პროექტი ითვალისწინებს კვლევის, ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ინსტიტუციურ დონეზე პოზიციონირებას და მხარდაჭერის მექანიზმების შექმნას, რომელშიც შევა ყველა ის საკითხი, რომელებიც ექსპერტებმა დასკვნაში წარმოადგინეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:52
დასრულების დრო: 15:17

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისთვის ავტორიზაციის მინიჭების, 1 წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის - 2 700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 1 3
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას (ს/კ: 203851545) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი), ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2700-ით.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 4 ოქტომბერს.

საბჭომ საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- 1.2 რეკომენდებულია, რომ აკადემიამ მოკლევადიან სტრატეგიული განვითარების გეგმას დაამატოს შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI) კონკრეტული და მართვადი ვადებით. ამის შემდეგ ისინი უნდა აისახოს გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაში, სადაც უნდა დაემატოს უფრო მაღალი დონის KPI.
- 2.1 რეკომენდებულია გაიზარდოს ღია კონკურსების სიხშირე და მასშტაბი ყველა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციისთვის, დეპარტამენტების ხელმძღვანელების ჩათვლით. ეს უზრუნველყოფს კვალიფიციური კანდიდატების უფრო ფართო არჩევანს და ხელს შეუწყობს დასაქმების პრაქტიკაში გამჭვირვალობის ამაღლებას.
- 2.1 რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააძლიეროს და თანაბრად გაანაწილოს ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევა ყველა დეპარტამენტში, რათა მაქსიმალურად გაზარდოს გავლენა და ხელი შეუწყოს ყოვლისმომცველ გლობალურ ჩართულობას.
- 2.2 რეკომენდებულია, რომ კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების ფორმულირება განხორციელდეს პროგრამის ხელმძღვანელების, დეკანის მოადგილეების და პროგრამის მართვაში ჩართული სხვა ადმინისტრაციული პერსონალისგან დამოუკიდებლად. ამის მიღწევა შესაძლებელია მკაფიო პროტოკოლების დადგენით, რომლებიც გამიჯნავს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირთა როლებს პროგრამის ხელმძღვანელობაში ჩართული პირების როლებისგან.
- 2.2 რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ სტუდენტთა უკუკავშირის სანდოობისა და ვალიდურობის გასაუმჯობესებლად გაამრავალფეროვნოს თავისი მეთოდები ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ სავალდებულო გამოკითხვებს დაეყრდნოს.
- 2.2 რეკომენდებულია მოგვარდეს პოტენციური ინტერესთა კონფლიქტები, რომლებიც წარმოიქმნება ორმაგი როლებიდან, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის გუნდების წევრები ასევე იკავებენ პროგრამის ხელმძღვანელების პოზიციებს.
- 2.2 რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის გაძლიერება ახალი წევრების დამატებით, რომლებიც არ არიან ჩართულნი პროგრამის მართვაში, რაც უზრუნველყოფს, რომ მათი როლები და პასუხისმგებლობები არ გადაიკვეთება.
- 2.3 რეკომენდებულია, რომ თსსა-მ რეგულარულად ჩაატაროს სემინარები და ტრენინგები როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის, ციტირების სათანადო მეთოდებსა და აკადემიური რეფერირების სტანდარტებში მათი ცოდნის ამაღლების მიზნით.
- 2.3 რეკომენდებულია მკაფიო და თანმიმდევრული სახელმძღვანელო პრინციპების და პლაგიატის პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და გაგებას აკადემიურ საზოგადოებაში.
- 3.2 რეკომენდებულია ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის სამაგისტრო კვლევითი კომპონენტის მკაფიო აღწერა და წერილობითი ნაშრომის სტრუქტურა, ადვილად ხელმისაწვდომი იყოს და ეფექტურად მიეწოდებოდეს სტუდენტებსა და პერსონალს.
- 3.2 რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები ენის მკაფიო და თანმიმდევრული წინაპირობების დადგენა, როგორც საჭირო ენის, ასევე მისი ცოდნის მოსალოდნელი დონის მითითებით.
- 3.3 რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამების შეფასების კრიტერიუმების საფუძვლიანი შემოწმება ცალკეული ფაკულტეტის მსგავსად ასევე ხუთივე ფაკულტეტზე, შეფასების ცხრილის საერთო დასახელების სისტემის გათვალისწინებით, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე. ასევე, უზრუნველყოთ მათი შესაბამისობა საქართველოს სამართლებრივ აქტებთან. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, სავალდებულო უნდა გახდეს პერსონალის ტრენინგი შეფასების კრიტერიუმების წერასა და შეფასებაში.

- 4.1 აკადემიური და კვლევითი პერსონალის საშუალო ასაკის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია აკადემიამ შეიმუშავოს ეფექტური სისტემა საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის, ჩართვისა და შენარჩუნებისათვის; სხვა აუცილებელი აქტივობების გარდა, აკადემიისთვის მნიშვნელოვანია შექმნას პოსტდოქტორანტების და ასისტენტების დაქირავებისა და სასწავლო და კვლევით საქმიანობაში მათი ინტეგრაციის მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმები.
- 5.1 რეკომენდებულია აკადემიამ სტუდენტის გზამკვლევში შეიტანოს ინფორმაცია სტუდენტთა უფლებების შესახებ, რათა უზრუნველყოს სტუდენტების გაცნობიერება ამ საკითხებში, და მოძებნოს კომუნიკაციის უკეთესი მეთოდები, რაც შეავსებს პერსონალსა და სტუდენტებს შორის არსებულ უფრო არაფორმალურ ურთიერთობებს.
- 5.1 რეკომენდებულია ეთიკის კოდექსში საჩივრების განხილვის პროცედურის ჩართვა.
- 6.1 რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი და განვითარების სამსახურის სტრატეგიული განვითარების მიზნები შეესაბამებოდეს აკადემიისა და სამეცნიერო ცენტრების განვითარების სტრატეგიულ გეგმებს და ხედვას; დაწესებულებამ იზრუნოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების სტრატეგიული განვითარების გეგმების კორელაციაზე და გადაამუშაოს გეგმა (დაამატოს გაზომვადი ინდიკატორები) დაწესებულების სამეცნიერო და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების მონიტორინგის პროცესის წარმართვის მიზნით.
- 6.2 რეკომენდებულია აკადემიამ გაამლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა და ჩართულობა თანამედროვე კვლევებში; რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების/აქტივობების განხორციელება, ასევე საერთაშორისო კვლევით/სახელოვნებო ცენტრებთან ინსტიტუციური თანამშრომლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- 6.3 რეკომენდებულია აკადემიამ შექმნას სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტურობის ანალიზისა და გაზომვის სისტემა, რათა შეფასების შედეგები გამოიყენოს კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.
- 7.1 რეკომენდებულია აკადემიამ შექმნას ინკლუზიური და ხელმისაწვდომი გარემო ყველა კამპუსში და შეიმუშაოს კონკრეტული, რეალისტური გეგმა ამ მიზნის მისაღწევად.
- 7.1 რეკომენდებულია საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განახლება, განსაკუთრებით იმ კამპუსებში, სადაც ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად მოძველებულია და არ შეესაბამება სტანდარტებს (მაგალითად, კამპუსები ლაპიაშვილისა და ლუბლიანას ქუჩებზე).
- 7.1 რეკომენდებულია აკადემიამ განახორციელოს შენობების სტრუქტურული მთლიანობისა და სახანძრო უსაფრთხოების შემოწმებები (კვალიფიციური სუბიექტების მიერ) და შემდგომ შეიმუშაოს აუცილებელი მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმა.
- 7.1 რეკომენდებულია შემუშავდეს სასწავლო მასალების შენახვისა და გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები და განთავსდეს ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილებში.
- 7.1 რეკომენდებულია აკადემიამ ყველა კამპუსში დაამონტაჟოს სათვალთვალო კამერების ადეკვატური რაოდენობა.
- 7.1 რეკომენდებულია ყველა კამპუსი აღიჭურვოს სამედიცინო პუნქტებით ან ასეთი საშუალებები უზრუნველყოფილ იქნას კამპუსებს შორის საერთო სივრცეებში.
- 7.2 რეკომენდებულია აკადემიის ბიბლიოთეკა განთავსდეს შესაბამის ტერიტორიაზე მისი ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად აღჭურვილ იქნას საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.
- 7.2 რეკომენდებულია ბიბლიოთეკები განთავსდეს ცალკეულ კამპუსებში კომპიუტერული სივრცეების ჩათვლით, და/ან საერთო სივრცის შენობებში.

- 7.3 რეკომენდებულია აკადემიის ვებგვერდის ქართული და ინგლისური ვერსიები სრულად შეესაბამებოდეს ერთმანეთს.
- 7.3 რეკომენდებულია ყველა ანგარიში და სტატისტიკური მონაცემები დროულად გამოქვეყნდეს და განახლდეს შესაბამის ვადებში.
- 7.4 გამჭვირვალობის გაძლიერების მიზნით და კომპეტენციების განაწილების პრინციპის დასაცავად, რეკომენდებულია ბიუჯეტში მკაფიოდ იყოს მითითებული სხვადასხვა საქმიანობისთვის გამოყოფილი ხარჯების ოდენობები. ამასთან, მასში დეტალურად იყოს გაწერილი სტუდენტთა მხარდაჭერის აქტივობებისთვის, სამეცნიერო განვითარების ხელშეწყობისთვის და საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესებისთვის გამოყოფილი თანხები.
- 7.4 რეკომენდებულია აკადემიის სტრატეგიული გეგმების მისაღწევად საჭირო ხარჯვითი მოთხოვნების დადგენა, და არა მხოლოდ დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება. ამასთან, უზრუნველყავით, რომ ეს ხარჯები დაკავშირებული იყოს ბიუჯეტში გაზომვად ინდიკატორებთან მათი ეფექტურობის.

რჩევები:

- 1.2 სასურველია, რომ გრძელვადიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში მეტი აქცენტი გაკეთდეს მდგრადობაზე.
- 1.2 სასურველია, რომ აკადემიის ხელმძღვანელობამ კონსულტაცია გაიაროს სტუდენტთა წარმომადგენლებთან იმის განსახილველად, თუ როგორ შეიძლება უკეთ გავრცელდეს დაწესებულების სტრატეგია სტუდენტთა შორის.
- 1.2 სასურველია, რომ პერსონალმა მიიღოს უწყვეტი პროფესიული განვითარება პროექტების, ასევე სამხატვრო და სამეცნიერო კვლევების ზეგავლენის შეფასების მეთოდებში, მათი უნარების გასაუმჯობესებლად.
- 3.2 სასურველია კურსის დოკუმენტებისა და სილაბუსების ინგლისურ ენაზე თარგმნისას თავიდან იქნას აცილებული პირადი ნაცვალსახელების გამოყენება.
- 3.2 სასურველია აკადემიამ განიხილოს თითოეული პროგრამისათვის ძირითადი ლიტერატურის მოთხოვნები, სანდო ინგლისურენოვანი რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.
- 4.1 სასურველია შეიქმნას და დაინერგოს თანამშრომელთა ადაპტაციის ეფექტური სისტემები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ახალი პერსონალის შეუფერხებელი ინტეგრაციის პროცესი;
- 4.1 სასურველია, ჩამოყალიბდეს მკაფიო ხედვა აკადემიაში აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანაფარდობის შესახებ და ამ ხედვის ინტეგრირება სამომავლო დაგეგმვის აქტივობებში;
- 4.1 სასურველია, პერსონალის დაგეგმვისთვის განისაზღვროს გაზომვადი, ობიექტური, დასაბუთებული და მიღწევადი სამიზნე ინდიკატორები, ყველა საჭირო პერსპექტივის გათვალისწინებით;
- 4.1 სასურველია, თანამშრომელთა სამუშაო პროცესების დიგიტალიზაციის გაზრდა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესება არაეფექტური სამუშაო დატვირთვის შესამცირებლად;
- 4.1 სასურველია, არაფინანსური წახალისებისა და დაწინაურების მექანიზმების შემოღება და წახალისებისა და პროფესიული განვითარებისთვის საბიუჯეტო მხარდაჭერის გაძლიერება;
- 4.1 სასურველია, პერსონალის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების გაფართოება და გაღრმავება გლობალური ჩართულობისა და თანამშრომლობის გასაძლიერებლად.
- 4.2 სასურველია, სამეცნიერო პერსონალის დატვირთვის ბადის დახვეწა და კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული გაზომვადი ინდიკატორების დანერგვა.

- 4.2 სასურველია ზეგანაკვეთური სამუშაოს პრევენციის მექანიზმების შემუშავება: ზეგანაკვეთური სამუშაოს თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია განხორციელდეს ღონისძიებები, მათ შორის პროცესების გაციფრულება, საჭირო ტექნიკური რესურსების ინტეგრირება და სამუშაო დატვირთვის ადეკვატური განაწილების უზრუნველყოფა; დაწესდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს აღრიცხვის ეფექტური მექანიზმები, გადაიჭრას ზეგანაკვეთთან დაკავშირებული სისტემური საკითხები და დარეგულირდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს დასაშვები ინდივიდუალური შემთხვევების პირობები და წესები.
- 5.2 სასურველია უფრო მეტი ინფორმაციული შეხვედრები უკეთ გააცნობდა სტუდენტებს მათი მხარდაჭერის სერვისების სპექტრს.
- 7.1 სასურველია აკადემიამ მოაწყოს სტუდენტური საერთო საცხოვრებლები.
- 7.1 სასურველია აკადემიამ ჩარიცხვის პროცესისას ჩაატაროს კონკრეტული და მიზნობრივი შეხვედრები, რათა აცნობოს სტუდენტებს საჭირო მასალების შეძენის მოთხოვნის შესახებ.
- 7.2 სასურველია აკადემიამ გააგრძელოს საბიბლიოთეკო მომსახურების დაფინანსების გაზრდა.
- 7.2 სასურველია, ბიბლიოთეკამ ჩაატაროს მეტი საინფორმაციო შეხვედრა პერსონალთან და სტუდენტებთან.
- 7.2 სასურველია, აკადემიამ წაახალისოს სამეცნიერო ბაზებისა და ელექტრონული კატალოგების უფრო ფართო გამოყენება სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
- 7.3 სასურველია, აკადემიამ გააუმჯობესოს საინფორმაციო პოლიტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები ელექტრონული სერვისების მომხმარებლებისთვის.
- 7.3 სასურველია, აკადემიამ შეიმუშაოს აუცილებელი გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალისა და სტუდენტებისთვის სტაბილურ ინტერნეტწვდომას ყველა კამპუსში.
- 7.4 სასურველია, ბიუჯეტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობის გაზრდა იმის უზრუნველყოფით, რომ იგი ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის მისაწვდომ პლატფორმებზე.

2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომარ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთიმოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტი, ქეთევან კანკავა, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ საერთო ჯამში უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლების ჩართულობამ უნივერსიტეტის ფუნქციონირების ყველა ეტაპზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტის მართვით ორგანოებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდას. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მართვით ორგანოებში სტუდენტების ჩართულობა უნდა იყოს არა შერჩევითი, არამედ არჩევითი, რათა ყველა სტუდენტი უნივერსიტეტში მიმდინარე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანაბრად ჩაერთოს. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების უფრო ზუსტად და გამართულად მუშაობას. მისი თქმით, დოკუმენტების შესწავლის დროს გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოება ყოველთვის არ მიმდინარეობდა იმ ვადებში, რომლებიც დადგენილი იყო კანონმდებლობით. ასევე, ზოგიერთი სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ინფორმაცია იუსტიციის სახლში არ იყო დროულად გადაცემული. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების გაწერას, რეაგირების მექანიზმების მითითებით. უნივერსიტეტმა წარმოადგინა დოკუმენტები, რომლებშიც ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები მექანიზმების მითითებით არ იყოს სრულყოფილად გაწერილი. შესაბამისად, სწორედ ამიტომ გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ისეთი ხელშეკრულების გაფორმებას, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა სტუდენტის უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე. მან აღნიშნა, რომ სტუდენტების მიერ უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებები ხელმისაწვდომი არ იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის, თუმცა დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნავდა, რომ ყველა ხელშეკრულება ორიენტირებული იყო სტუდენტის უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე. ამრიგად, ვინაიდან ექსპერტებს არ ჰქონდათ აღნიშნული ხელშეკრულებების გაცნობის საშუალება, ამიტომ გაიცა ეს რეკომენდაცია. მისი თქმით, სამწუხარო ფაქტი გამოიკვეთა ერთ-ერთი პროფესორის მიმართ. სტუდენტები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას პროფესორის მიერ ეთიკის სტანდარტების დარღვევასთან დაკავშირებით. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, რომ ეთიკის სტანდარტების დარღვევის (მათ შორის პერსონალის მხრიდან) თითოეულ შემთხვევას მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება. ასევე, რეკომენდებული იყო პლაგიატის აღმოჩენის, რეაგირების თავიდან აცილების პროცედურებისა და მექანიზმების დოკუმენტის შექმნა. ცალკე დოკუმენტი ამის შესახებ უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტში არ არსებობს. გარდა ამისა, როგორც აკადემიური პერსონალი, ისე სტუდენტები, ნაკლებად იცნობდნენ პლაგიატის იდენტიფიცირებისა და მასზე რეაგირების მექანიზმებს. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ პლაგიატის აღმოჩენის, რეაგირების თავიდან აცილების პროცედურებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმაცია მოცემული იყო სხვა დოკუმენტებში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან კანკავამ განაცხადა, რომ რამდენიმე რეკომენდაცია გაიცა დოკუმენტების ვებ-გვერდზე განთავსებასთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც ექსპერტები იმყოფებოდნენ დაწესებულებაში, ვებ-გვერდზე არ იყო ხელმისაწვდომი დოკუმენტები (მაგალითად, ეთიკის კოდექსისა და ქცევის ნორმების მარეგულირებელი წესი). მისი თქმით, ვებ-გვერდზე განთავსებული იყო მედიცინის პროგრამა, თუმცა საჭიროებდა განახლებას. მისი თქმით, რეკომენდებული იყო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების რუკისა და სამიზნე ნიშნულების გაწერა პროგრამის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების

გათვალისწინებით. ასევე რეკომენდებული იყო სტუდენტებისათვის მიღწეული შედეგების ნაკლოვანებების და გაუმჯობესების გზების შესახებ ინფორმაციის მიწოდების სისტემატურობის უზრუნველყოფა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით განმარტა, რომ სტუდენტისთვის უკუკავშირის მიღება უნდა იყოს სტანდარტული პროცედურა, რომელიც არ უნდა საჭიროებდეს სტუდენტის მხრიდან პროაქტიულ ჩართულობას. სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თითოეულ სადოქტორო პროგრამაში არ იყო გაწერილი პროგრამის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. გაწერილი იყო მხოლოდ ზოგად დოკუმენტში. შესაბამისად, შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრული უნდა იყოს საკუთრივ პროგრამაში და არა ზოგად მარეგულირებელ დოკუმენტებში. რეკომენდებული იყო აკადემიური პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის საკონსულტაციო საათების განსაზღვრა. სტუდენტს აქვს საშუალება კონსულტაცია გაიაროს აკადემიურ პერსონალთან ან ადმინისტრაციასთან, თუმცა ამისთვის ინდივიდუალური შეთანხმება უნდა არსებობდეს. მსგავსი შემთხვევა იყო მედიცინის სკოლის ადმინისტრაციასთან დაკავშირებით. სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ გვიან იღებდნენ შესაბამის კითხვაზე პასუხს როგორც მეილზე, ისე ინდივიდუალური მიმართვის დროს. შესაბამისად, ამას ეფუძნებოდა რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ უსდ-მ მედიცინის სკოლის ადმინისტრაციაში ახალი პოზიციის დამატებით, ან სხვა ქმედითი ღონისძიებით უზრუნველყოს სტუდენტებთან ეფექტური და სწრაფი კომუნიკაციის შესაძლებლობა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ხარისხის სამსახურის მუშობა გამართულია. ეს დაეხმარება უნივერსიტეტს როგორც რეკომენდაციების შესრულებისთვის, ისე მისი განვითარებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი, ეკატერინე ბაკარაძე, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებას არაგეგმიური მონიტორინგისთვის დაახლოებით 2-3 სამუშაო დღე ჰქონდა მოსამზადებლად. შესაბამისად, ექსპერტებს უნივერსიტეტი დახვდა რეორგანიზაციისა და წინასაავტორიზაციო პროცესის სამზადისში. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დაახლოებით 800-მდე დოკუმენტი, რომელთა სრული რაოდენობა მიწოდებული იქნა დროულად და უხარვეზოდ. ექსპერტების ვიზიტი დაწესებულებაში თანამშრომლობითი იყო. მათ უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ბევრი პოზიტიური დეტალი გამოავლინეს, რომელიც ვიზიტის დასასრულს გაზიარებული იქნა ადმინისტრაციისათვის. ეკატერინე ბაკარაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების მიმართ განისაზღვრა 15 რეკომენდაცია. 15 რეკომენდაციიდან უნივერსიტეტმა გაიზიარა სამი რეკომენდაცია, რადგან რამდენიმე რეკომენდაცია გაიცა დაწესებულებისაგან დოკუმენტების გამოთხოვის გარეშე. ორი რეკომენდაცია ეხებოდა ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების საკითხს. მისი თქმით, ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი სატესტო რეჟიმში მუშაობდა, თუმცა ექსპერტებს ჰქონდათ წვდომა ძველ საიტზე. ის ინფორმაცია, რომელიც უნდა განთავსებულიყო ახალ საიტზე, გაზიარებული იქნა ექსპერტებისთვის. შესაბამისად, უნივერსიტეტი იმედოვნებს, რომ ამ ფაქტს ავტორიზაციის საბჭო გაითვალისწინებს. ეკატერინე ბაკარაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება არ იზიარებს 2.2 ქვესტანდარტში მოცემულ მესამე და მეოთხე რეკომენდაციებს. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დეტალურად გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, რეაგირების მექანიზმების მითითებით, შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში, კერძოდ, ადმინისტრაციის დებულებაში, საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულებაში და ა.შ. ეს პროცესი უნივერსიტეტის დაფუძნების დღიდან კარგად მუშაობს, რომლის დასტურია პროგრამული აკრედიტაციის დროს საუკეთესო პრაქტიკად აღნიშვნა. თუ ექსპერტებს შენიშვნა ჰქონდათ რეაგირების მექანიზმების ხარვეზებთან დაკავშირებით, მაშინ ეს უნდა ასახულიყო დასკვნაში. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში არ ყოფილა გამოთხოვილი აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემის

დანერგვისა და განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი. პერსონალის აკადემიური თუ სამეცნიერო აქტივობების დაგეგმვისა და მონიტორინგის მიზნით დანერგილია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელსაც არეგულირებს შესაბამისი ბრძანებები, სადაც განსაზღვრულია ბევრი სხვადასხვა კომპონენტი, რომელთა განსახორციელებლად პერსონალს ენიჭება შესაბამისი ქულები. დატვირთვის სქემა ყოველწლიურად განახლებადია, რომელსაც ამტკიცებს ჯერ სკოლის საბჭო, ხოლო შემდეგ აკადემიური საბჭო. შესაბამისად, ამ დოკუმენტის გარეშე აკადემიური პერსონალის მუშაობა უნივერსიტეტში წარმოუდგენელია. დაწესებულება ყოველსემესტრულად აცხადებს კვლევითი პროექტების კონკურსს, რომლის მიზანია აკადემიური პერსონალის ჩართულობის წახალისება და კვლევითი პოტენციალის განვითარება. შესაბამისად, ამ მიმართულებით „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი“ ერთ-ერთი მოწინავე უნივერსიტეტია. ეკატერინე ბაკარაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება არ იზიარებს 2.3 ქვესტანდარტში მოცემულ რეკომენდაციებს. მისი თქმით, დაწესებულებამ გაუზიარა ექსპერტებს „საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის“ დებულება, რომელიც დეტალურად აღწერს პლაგიატთან ბრძოლის პროცესს. ასევე უნივერსიტეტი პლაგიატთან ბრძოლის მიზნით წარმატებით იყენებს „Turnitin”-ის პროგრამას. დაწესებულებაში მოქმედებს შრომის შინაგანაწესი, რომლის მეოცე მუხლით განსაზღვრულია არა მხოლოდ სტუდენტების, არამედ აკადემიური პერსონალის გადაცდომისა და ამ გადაცდომისთვის პასუხისმგებლობის საკითხები. ასევე უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ეთიკის კომისია. ეკატერინე ბაკარაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება არ იზიარებს მე-3 ქვესტანდარტში არსებულ ყველა რეკომენდაციას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 4 სადოქტორო პროგრამა. ერთ-ერთი რეკომენდაცია გაცემული იყო განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის მიმართ, რომელიც კურიკულუმის რუკას ეხებოდა. აკრედიტაციის გავლის მიზნით დაწესებულებამ გააგზავნა შესაბამისი ანგარიში ამ პროგრამასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ერთი კონკრეტული პროგრამის ტექნიკური დეტალის განზოგადება და მთელი უნივერსიტეტის პროგრამებთან მიმართებით ამის რეკომენდაციის სახით წარმოდგენა, არარელევანტურია. მეათე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულების დაფუძნების დღიდან დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის ფარგლებში სტუდენტებს უწყვეტად მიეწოდებათ ინფორმაცია მიღებული შედეგების შესახებ. ამის მიზანია სასწავლო საგანმანათლებლო პროცესის ისე უზრუნველყოფა, რომ მაღალი ალბათობით მიღწეული იქნეს ის შედეგები, რაც საგანმანათლებლო პროგრამების შედეგებით არის დადგენილი. სტუდენტებთან უკუკავშირი ხდება შეფასების შემდეგ, საკონსულტაციო საათების დროს. უნივერსიტეტში დანერგილია ორი ტიპის შეფასება, კერძოდ, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ შეფასება. ეს არის ის პროცესი, როდესაც დაწესებულება იყენებს ადრეული დიაგნოსტიკის ინსტრუმენტებს, რომლის ფარგლებშიც მიღებული შედეგების შეფასების შედეგად დგინდება, სტუდენტის ამა თუ იმ კომპონენტის დაძლევა. ეს არის „PDCA ციკლის“ განუყოფელი ნაწილი. ეკატერინე ბაკარაძემ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სადოქტორო პროგრამებში სადოქტორო ნაშრომის შეფასების მეთოდების ასახვას. მისი თქმით, პროგრამებში გაწერილია როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა. პროგრამის დანართები არის „აკადემიური წერის სტანდარტები“ და „კვლევითი ნაშრომის მიმართ წაყენებული მოთხოვნები“. ეს პროცესები უფრო დეტალურადაა გაწერილი მარეგულირებელ დოკუმენტებში, სტუდენტის პორტალზე და დაწესებულების ვებ-გვერდზე. რა თქმა უნდა, ამით არ ირღვევა არც აკრედიტაციის და არც ავტორიზაციის სტანდარტები. მეცამეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულება არ იზიარებდა, იმიტომ, რომ გაურკვეველი იყო მისი მნიშვნელობა. ექსპერტები დასკვნის ნარატივში არ აღნიშნავდნენ მოცემული რეკომენდაციის გაცემის საფუძვლებს. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის საკონსულტაციო საათების განსაზღვრას. მისი თქმით, აკადემიური დატვირთვის სქემა განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე, რომელშიც მოცემულია ლექტორის ვალდებულებები, კონსულტაციებსა და საუნივერსიტეტო

ღონისძიებებში მონაწილეობა და ა.შ. პერსონალის დატვირთვა მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო კვლევით საქმიანობას. ლექტორს ვალდებულების დარღვევად ჩაეთვლება მაშინ, თუ სტუდენტის კანონიერ ინტერესს არ დაიცავს და არ გაუწევს შესაბამის კონსულტაციას. მან ასევე დასძინა, რომ დაწესებულებაში შექმნილია ომბუდსმენის სამსახური, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების ინტერესების დაცვაზე. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს იმ რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა მედიცინის სკოლის ადმინისტრაციაში ახალი პოზიციების დამატებას. რეორგანიზაციის შედეგად გამოცხადდა შესაბამისი ვაკანსიები და დაემატა ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ვახტანგ ზაალიშვილმა აღნიშნა, რომ პერსონალის დატვირთვის სქემასთან ერთად მოქმედებს პერდსონალის ვალდებულება ყოველწლიურად ორი სემესტრის თავზე წარმოადგინონ განახლებული ავტობიოგრაფია. შესაბამისად, არა მხოლოდ HR სამსახურის და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, დატვირთვის სქემით მოწმდება კონკრეტული აკადემიური პერსონალის განვითარების დინამიკა, არამედ ორი შესაბამისი დოკუმენტით. ამრიგად, პერსონალის დატვირთვის სქემასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას დაწესებულება ვერ გაიზიარებს. მან, უკუკავშირთან დაკავშირებით ასევე, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობს უკუკავშირის ორი ფორმა. ერთია მოთხოვნის შედეგად უკუკავშრის მიღება, ხოლო მეორეა - ზოგადი უკუკავშირი. ამ უკანასკნელის გამოყენება მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით, ჯგუფში ზოგჯერ ეთიკურად გამართლებული არ არის. შესაბამისად, სტუდენტის ქულის დაკლების მიზეზის განხილვა უნდა ხდებოდეს ინდივიდუალურად. კონსულტაციების ნაწილთან დაკავშირებით, მან დასძინა, რომ კონსულტაციები აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ფორმალიზებული არ არის და ვერც იქნება, რადგან რეალურად სტუდენტებთან კონსულტაციები უზრუნველყოფილია 24/7-ზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, დავით ლეშკაშელმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ომბუდსმენი „დანიშვნით“ თუ „არჩევით“ თანამდებობა იყო. გარდა ამისა, რამდენად იყო სტუდენტურ ცხოვრებაში, სტუდენტის აზრი გათვალისწინებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ვახტანგ ზაალიშვილმა აღნიშნა, რომ ომბუდსმენი არის სტუდენტების წრიდან წარმოდგენილი ადამიანი, რომელთანაც იდება შრომითი ხელშეკრულება. უნივერსიტეტი იზიარებს იმ რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა სტუდენტური წრიდან ნომინირებულ მართვაში ჩართული პირების გაძლიერებას. სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტში საჭიროებს გაძლიერებას. ამ საკითხზე დაწესებულებას ნაფიქრი აქვს და იცის მისი გაძლიერების გზები. მისი თქმით, ნებისმიერი პრობლემის არსებობის შემთხვევაში სტუდენტი საჩივარს წერს პორტალზე, რომელიც განიხილება შესაბამისი სტრუქტურის მიერ. მაგალითად, მედიცინის სკოლაში დაფიქსირდა ისეთი შემთხვევა, როდესაც სტუდენტს პასუხი მიუვიდა დაგვიანებულად, თუმცა ამის გამეორების შესაძლებლობა დღეს აღარ არსებობს იმიტომ, რომ ადმინისტრაცია შეივსო შესაბამისი პერსონალით.
ეკატერინე ბაკარაძემ განაცხადა, რომ ომბუდსმენსა და სტუდენტს შორის კომუნიკაცია არის კონფიდენციალური. შესაბამისად, სხვა მესამე პირს არ აქვს წვდომა იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით თუ რომელმა სტუდენტმა მიმართა ომბუდსმენს.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს პლაგიატთან დაკავშირებით. მისი თქმით, პლაგიატის პროგრამის მუშაობა დასკვნაში დადებითად არის აღწერილი, თუმცა რეკომენდაცია მაინც არის გაცემული. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. მისი თქმით, ეთიკის სტანდარტების დარღვევასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტი აკადემიური პერსონალის მხრიდან, ეთიკის სტანდარტის დარღვევისთვის. ასევე ეს დოკუმენტი ითვალისწინებს ჩადენილი ქმედების

სიმძიმიდან გამომდინარე, დისციპლინურ პასუხისმგებლობასაც. მას აინტერესებდა, რა იყო ეთიკის სტანდარტების დარღვევასთან დაკავშირებით რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანის თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ისეთი ხელშეკრულების დადებას, რომელიც სტუდენტის ინტერესებსა და უფლებების დაცვაზე იქნებოდა ორიენტირებული. მას აინტერესებდა, რა იყო აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის მიზეზი.

ექსპერტმა გიორგი გვენეტაძემ დაადასტურა ის ფაქტი, რომ როგორც სტუდენტებში, ისე აკადემიურ პერსონალში პლაგიატის შესახებ ცნობადობა მაღალი იყო, თუმცა ცენტრთან თანამშრომლობით ეს რეკომენდაცია გაიცა იმ მიზნით, რომ ეთიკის კოდექსი ცალკე დოკუმენტად ყოფილიყო, რომელიც განთავსებული იქნებოდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ეთიკის სტანდარტების დარღვევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის სტანდარტების დარღვევის ერთი ფაქტი გამოვლინდა, დისკრიმინაცია ხდებოდა როგორც სქესობრივი, ისე რასობრივი ნიშნით ლექტორის მხრიდან სტუდენტის მიმართ არასასურველი კომენტარების გაკეთების გზით და სწორედ ამიტომ გაიცა ეს რეკომენდაცია.

ექსპერტმა ქეთევან კანკავამ აღნიშნა, რომ ამის შესახებ ინფორმაცია ადმინისტრაციამდე მისული იყო, თუმცა რეაგირება არ მოჰყოლია. სტუდენტსა და დაწესებულებას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებას არგუმენტირებულ პოზიციაში ეწერა, რომ გამოგზავნილი ჰქონდა ხელშეკრულებები, თუმცა ექსპერტებმა ვერ ნახეს ეს ხელშეკრულებები. შესაბამისად, მაშინ, როდესაც ვერ ხერხდება ფაქტის არსებობის დადგენა, მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულებების ნახვა, ექსპერტთა ჯგუფი ვალდებულია გასცეს რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე ბაკარაძე აღნიშნა, რომ დისკრიმინაციული ფაქტი უკავშირდებოდა მედიცინის სკოლის ერთ-ერთ პროფესორს. რა თქმა უნდა, აღნიშნულ პროფესორთან მოხდა გასაუბრება დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით, ხოლო ამის შემდეგ ის ჩამოცილებული იქნა უმაღლეს საგანმანათლებლო სწავლებას.

ვახტანგ ზაალიშვილმა სტუდენტსა და დაწესებულებას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაცია დაიწერა იმაზე, რაც არ უნახავთ. შესაბამისად, კარგი იქნება თუ ამ საკითხს გაითვალისწინებს ავტორიზაციის საბჭო.

სხდომის თავმჯდომარემ, სერგო ჭელიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, როგორი იყო აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა უნივერსიტეტში.

ვახტანგ ზაალიშვილმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა შედგება ორი ეტაპისაგან. დაწესებულებაში არსებობს დატვირთვის სქემა, სადაც ჩაშლილია კომპონენტები და თითოეული აკადემიური პერსონალი აკეთებს დეკლარირებას იმის შესახებ, რომ შეასრულებს 800-900 საათს სამუშაოს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში. მაგალითად, კვლევითი კომპონენტის ნაწილია სტატიის დაწერა, სახელმძღვანელოზე მუშაობა და ა.შ. აკადემიურ პერსონალს წლის ბოლოს გააჩნია ვალდებულება იმისა, რომ დეკლარირების შესაბამისად დაადასტუროს და წარმოადგინოს განახლებული ავტობიოგრაფია (CV), რომელშიც მოცემული იქნება კონკრეტული მაგალითები იმის შესახებ, რომ შეასრულა კვლევითი კომპონენტები. თუ ის დაარღვევს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მას დაეკისრება შრომითი შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობა ჩადენილი ქმედების სიმძიმიდან გამომდინარე. მისი თქმით, ყველა პერსონალს თანაბარ საწყისებზე აქვს კვლევით საქმიანობაში უნივერსიტეტის საგრანტო პროგრამებში მიღების შესაძლებლობა.

სერგო ჭელიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას, სტუდენტისთვის საკონსულტაციო საათებთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ლექტორს შეიძლება ჯგუფში ჰყავდეს 100 სტუდენტი. მას აინტერესებდა, რამდენად შეძლებს ის ასევე სტუდენტთან ინდივიდუალურად კონსულტაციის შეთანხმებას.

ვახტანგ ზაალიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგჯერ სტუდენტების რაოდენობა ჯგუფში ძალიან დიდია. შესაბამისად, ლექტორს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს კონსულტაციის ფორმატი, თუმცა არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ლექტორმა სტუდენტთან საკითხი უნდა განიხილოს ინდივიდუალურად, რათა ეს ინფორმაცია მესამე პირისთვის არ იყოს ცნობილი. რა თქმა უნდა, ეს სტუდენტის პროაქტიურობაზეა დამოკიდებული.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ ექიმებში ყოველწლიურად არ ტარდება ლიცენზირებები. შესაბამისად, ის, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა პროფესორმა, ეს ვერ იქნება ლიცენზიის შეჩერების საფუძველი. პლაგიატთან დაკავშირებით განმარტა, რომ დღევანდელ დღეს ისეა არეული პლაგიარიზმის დეტექცია, რომ დახვეწილი ტექსტის ამოცნობაც კი უჭირს როგორც „AI Detector“-ს, ისე „Turnitin”-ის პროგრამას. შესაბამისად, ამ მხრივ უნდა შეიცვალოს პოლიტიკა და ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაციები უნდა გადავიდეს რჩევებში.

დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:28
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ა(ა)იპ ნიუ-ვიჟენ უნივერსიტისთვის 60 კალენდარული დღის ვადის მიცემის საკითხი, ხარვეზის გამოსასწორებლად.

კენჭისყრისშედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 1 3
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 21-ე პუნქტის შესაბამისად, საბჭომ ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტს (ს/კ: 404987332) განუსაზღვრა 60 კალენდარული დღე ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესასრულებლად.
აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 21 ოქტომბერს.

საბჭომ საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში სტუდენტების ჩართულობა იყოს არჩევითი, გამჭვირვალე და ობიექტური;
- აუცილებელია, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოება იყოს უფრო ზუსტი და გამართული;
- რეკომენდებულია, დეტალურად გაიწეროს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, რეაგირების მექანიზმების მითითებით;
- რეკომენდებულია, დაინერგოს და განხორციელდეს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა;

- რეკომენდებულია, გაიწეროს ეთიკის კოდექსისა და ქცევის ნორმების მარეგულირებელი წესი, რომელიც განთავსდება საჯაროდ ვებ-გვერდზე;
- რეკომენდებულია, პროგრამის ნებისმიერი ცვლილებისას განახლდეს ინფორმაცია ვებ-გვერდზე და საუნივერსიტეტო სივრცეშიც გამოიყენებოდეს მხოლოდ განახლებული დოკუმენტაცია;
- რეკომენდებულია, საერთაშორისო სტუდენტთა სტატუსის ცვლილების შესახებ ინფორმაცია დროულად მიეწოდოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს;
- აუცილებელია, უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ხელშეკრულება შედგენილი იყოს სტუდენტის ინტერესებისა და უფლებების დაცვით;
- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალისთვის განისაზღვროს სტუდენტებისთვის საკონსულტაციო საათები;
- რეკომენდებულია უსდ-მ მედიცინის სკოლის ადმინისტრაციაში ახალი პოზიციის დამატებით ან სხვა ქმედითი ღონისძიებით უზრუნველყოს სტუდენტებთან ეფექტური და სწრაფი კომუნიკაციის შესაძლებლობა.

რჩევები:

- სასურველია, ვებ-გვერდზე ასახული უნივერსიტეტის სტრუქტურა მოვიდეს შესაბამისობაში უნივერსიტეტის წესდებასთან.
- სასურველია, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგების და შესაბამისი რეაგირების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს დაინტერესებულ მხარეებს.
- სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებისას გამოყენებული იქნას მეცადინეობებზე კოლეგების დასწრების და შეფასების პრაქტიკა.
- სასურველია, მოხდეს სამართლის საბაკალავრო პროგრამის მეტი პოპულარიზაცია, რათა აკადემიური შესაძლებლობები თანხვედრაში მოვიდეს დატვირთვასთან.
- სასურველია, უნივერსიტეტმა მოახდინოს რეაგირება სტუდენტების სურვილზე არჩევითი კურსების მრავალფეროვნების გაზრდის თაობაზე.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხების განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 16:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო